გუშინწინ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში. ჩვენს რესპუბლიკაში სტუმრად მყოფ შვეიცის საკლუბო გუნდ ევლე-იფ-ს თბილისის დინამოელები ეთამაშნენ. ჩვენი გუნდის შემადგენლობაში ძირითად მოთამაშეთა უმრავლესობა არ იყო. მიუხედავად ამისა, მატჩი მასპინძლებმა მოიგეს - 1:0. ბურთი შეხვედრის მე-40 წუთზე სოსო მალანიას ჩაწოდების შემდეგ გია გურულმა გაიტანა თავური დარტყმით. გაგაცნობთ **„დინამოს“ შემადგენლობას“ აბუსერიძე (გაბელია, 85), ფირცხალავა, ცვეიბა, ჭედია (ყაველაშვილი, 76), მალანია (თეთრაძე, 46), ბიგვავა, გოგრიჭიანი, ჟორდანია (კაკილაშვილი, 46), ქეცბაია, გურული (ნეფარიძე, 79), მიქაშავიძე (რევიშვილი, 46; წიკლაური, 75).**

ლელო 2.04.1987